ეთნოკულტურულ ღირებულებათა ვიდეომონიტორინგი და ვიდეოატლასი

ლორია მანუჩარ
რსუ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახური,
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ლომთათიძე თამილა
რსუ–ს სამეცნიერო ცენტრი,
ნიკო ბერძენიშვილის ჰუმანიტარულ–სოციალური მიმართულება

პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა გარკვეულწილად გამოიწვია საზოგადოების რელიგიური და ეთნიკური კონსტრუქციების ცვლილებები, ეთნიკური სტერეოტიპების გადააზრება. ეთნოსების ტრადიციული კულტურის ელემენტებზე გლობალიზაციის გავლენის შედეგად მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის ეთნოკულტურა, ქცევის ტრადიციული ნორმები, ეტიკეტი, კულტურული ღირებულებები. ხდება მათი ადაპტირება ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან, ირღვევა ტრადიციები, მიმდინარეობს ყოფის სტანდარტიზაცია. ეს ვითარება პრობლემურს ხდის ეთნოკულტურულ ღირებულებათა, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე შეძენილ ეროვნულ ფასეულობათა შენარჩუნებას. ამ პრობლემის გადაჭრაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ეთნოკულტურულ ღირებულებათა ვიდეომონიტორინგს, რომელიც ეთნოგრაფიული ყოფისა და ეთნოკულტურულ ღირებულებათა ფიქსაციის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

ვიდეომონიტორინგი საველე მუშაობის შედარებით ახალი მეთოდიკაა, რაც საშუალებას იძლევა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით მოხდეს ტრადიციული კულტურის ისეთი ელემენტების ფიქსაცია, როგორიცაა ტრადიციული ყოფა (მიწათმოქმედება, მევენა-ხეობა-მეღვინეობა, მესაქონლეობა, მეფუტკრეობა, ხალხური ხელოსნობა) და მატერიალური კულტურა (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ტანსაცმელი, ინვენტარი, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები), საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრება, სულიერი კულტურა (სახალხო დღესასწაულები, წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი, ხალხური მედიცინა). ღირებულებათა ვიდეომონიტორინგის საფუძველზე შესაძლებელია შეიქმნას ვიდეოატლასი, რომელიც, შეინახავს უზარმაზარ აუდიოვიზუალურ ინფორმაციას ქართველი ხალხის კულტურული

მემკვიდრეობის შესახებ. ეს იქნება ფაქტიურად კულტურული მემკვიდრეობის შესახებ აუდიოვიზუალური ინფორმაციის ბანკი, რომელსაც ექნება არა მხოლოდ მეცნიერულ-საცნობარო და მხარეთმცოდნეობითი, არამედ კომერციული და პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობაც. ასეთი ვიდეოატლასი არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენახვაში შეიტანს თავის წვლილს, არამედ შექმნის უნიკალურ მასალას მუზეუმების, განათლებისა და კულტურის სისტემის დაწესებულებებისათვის. ეს იქნება ინფორმაციის ახალი პლასტი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ეთნოტურიზმის სტრატეგიების შემუშავებისას. ვიდეოატლასის მეშვეობით თაობების მიერ დაგროვილი დიდი კულტურული მემკვიდრეობა ხელმისაწვდომი იქნება თანამედროვე მაყურებლისთვის, გააჩენს ახალ თაობაში ამ კულტურასთან თანაზიარობის განცდას. ჩამოუყალიბებს მათ სწორ ღირებულებით ორიენტირებს და მსოფმხედველობითი პოზიციას.

Video-monitoring and Video-atlas of Ethno-cultural Values

Loria Manuchar
Information Technologies and Communication Service of RSU
Member of History, archaeology and Ethnology Department.

Lomtatidze Tamila
RSU Scientific Center,
Niko Berdzenishvili Humanities - Social Studies

Political, social-economic and cultural-religious processes taking place in post communist society to a certain extent caused changes in religious and ethnic constructions of the society and reconsideration of ethnic stereotypes. As a result of the impact of globalization on the elements of the traditional culture of ethnos, considerable changes occur in ethno-culture, traditional norms of behavior, etiquette, cultural values. They are being adapted to a new social-cultural environment, traditions are destroyed and the standardization of everyday life is taking place. This kind of situation makes it problematic to preserve ethno-cultural values, and national values acquired at various stages of development of the society. Video-monitoring of ethno-cultural values can play an important part in solving this problem inasmuch as it is a means to register ethnographic life and ethno-cultural values.

Video-monitoring is a relatively new method of field work that enables to register through the modern technical equipment such elements of traditional culture as traditional mode of life (agriculture, viticulture-wine making, cattle breeding, apiculture, popular trade) and material culture (dwelling and husbandry buildings, outfit, inventory, samples of decorative art), community and family life, spiritual culture (public holidays, customs, beliefs, folklore, popular medicine). On the basis of video-monitoring of values it will be possible to create a video-atlas that will preserve tremendous audio-visual information about the cultural heritage of the Georgian people. In fact, it will be an audio-visual bank of cultural heritage that will have not only scientific-reference and country-specific value but commercial and practical importance as well. Such video-Atlas will make a contribution not only in protection and preservation of cultural heritage but will also provide unique materials for museums and other institutions of educational and cultural system. It will be a new stratum of information that can be applied while elaborating ethno-tourism strategies. Great cultural heritage accumulated by the generations will be accessible through the video-atlas for the modern viewers and will create in new generations a feeling of sharing this culture, will form proper orientation in values and general attitude and world outlook.